

ნარკოპოლიტიკის გავლენა ქვეყნის ნარკოვითარებაზე-შემთხვევის მეტა-
ანალიზი

თამარ ლუქავა

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ადიქციის კვლევების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ლეჟავა 22.06.2018

აბსტრაქტი

ნარკოტიკების მოხმარება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების თანახმად, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა და მათმა პარტიონერებმა უნდა ითანამშრომლონ ეფექტური პოლიტიკის გასაძლიერებლად, შესაბამისი ღონისძიებების დასაწერად, ნარკოტიკების მოწოდებისა და ნარკოტიკებზე მოთხოვნის შემცირების საქმეში.

ნარკოკანონმდებლობისა და ნარკოპოლიტიკის რეფორმა ის შემთხვევაა, რომელიც საერთაშორისო კვლევების ყურადღების ცენტრშია, რამდენადაც მისი გამოცდილების განხილვა საშუალებას იძლევა გავიაზროთ, რა ცვლილებები მოჰყვება ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას ქვეყნის ნარკოვითარებაში, საკვანძო ეპიდემიოლოგიური ინდიკატორების თვალსაზრისით. ჩემი კვლევის ინტერესს სწორედ ამ ინტენსიურად მიმდინარე კვლევების მასივის მეტა-ანალიზი წარმოადგენდა.

რეფორმამდე პორტუგალია ნარკოტიკული ეპიდემიის ზღვარზე იდგა: ევროპის მაშტაბით ყველაზე დიდი რაოდენობის წამალდამოკიდებული პირი და სისხლის გზით გადამდები ინფექციებით დაავადებული ადამიანი ცხოვრობდა. ასევე, მაღალი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილიანობაც. მას მერე, რაც 2001 წელს მოხდა ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია სიტუაცია, რადიკალურად შეიცვალა და ჩემი კვლევაც, სხვადასხვა კვლევითი პროექტების მიერ შესწავლილი და ასახული ამ ცვლილებების ანალიზს ემსახურება.

ნაშრომში შედარებულია პორტუგალიაში არსებული მდგომარეობა რეფორმამდე და რეფორმის მერე, შესაბამისი კვლევების საფუძველზე აღწერილია, თუ რა იყო დეკრიმინალიზაციამდე და როგორ განვითარდა მოვლენები

დეკრიმინალიზაციის შემდგომ. ამისათვის ჩატარდა მეტა-ანალიზი. ჩატარდა შესაბამისი ძიება და გაანალიზებულ იქნა ერთი მხრივ, იმ ორგანიზაციების საიტები, რომლებიც პორტუგალიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ნარკოვითარების ეპიდემიოლოგიურ შესწავლასა და რეგულარულ მონიტორინგზე მუშაობენ, ასევე ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებში მოძიებულ იქნა და გაანალიზდა ამ თემაზე არსებული სამეცნიერო პუბლიკაციები.

ამ ანალიზის საფუძველზე, აღწერილია პორტუგალიაში არსებული ნარკოვითარება რეფორმამდე, როცა ნარკოპოლიტიკა უფრო დასჯაზე იყო ორიენტირებული, ვიდრე მკურნალობაზე და რეფორმის მერე, 2001 წლიდან დღემდე. ამის საფუძველზე ნაჩვენებია ნარკოვითარების ხუთი საკვანძო ეპიდემიოლოგიური ინდიკატორის დინამიკა წლების მიხედვით.

შედეგების თანახმად, რეფორმის შემდეგ პორტუგალიაში შემცირდა შემდეგი:

ნარკოტიკების მოხმარება ზოგად პოპულაციაში. 2001 წლამდე ექსტაზის ზოგად მოსახლეობაში ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოხმარების მაჩვენებელი იყო 0,9%, ხოლო 2016 წლისთვის გახდა 0,2%;

შემცირდა ნარკოტიკების მოხმარება ახალგაზრდებში, აქ კლების ტენდენცია დაიწყო 2006-2007 წლებში. 2001 წელს ეს მაჩვენებელი წარმოადგენდა 14.1%, ხოლო 2006 წლისთვის-10.2%;

საგრძნობლად შემცირდა ნარკოტიკების პრობლემურ მომხმარებელთა რიცხვი 2000 წელიდან 2005 წლამდე. 2000 წელს ეს მაჩვენებელი წარმოადგენდა 32,287 პირს, 2005 წელს კი-14,500-ს;

შემცირდა აივ-ინფიცირებულთა რაოდენობა: რეფორმამდე, 2000 წელს აივ-ინფიცირებულთა რიცხვმა რადიკალურ მაჩვენებელს მიაღწია-1,000,000 ადამიანზე 104,2 ახალ შემთხვევას, ხოლო 2015 წლისთვის ამ მაჩვენებელმა დაიწია და გახდა 4,2;

ასევე, შემცირდა ნარკოტიკების ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილიანობა: 2001 წელს 80 შემთხვევიდან, 2012 წლისთვის-16 შემთხვევა. ეს მიღწევა საუკეთესოა

ევროპაში: ზედოზირებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის თვალსაზრისით, პორტუგალიაზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ რუმინეთს აქვს.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ პორტუგალიაში ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია და ნარკოპოლიტიკის შესაბამისი რეფორმა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც წარმატებული შემთხვევა, რომლის გამოცდილების გათვალისწინებაც დაეხმარება მსოფლიოს სხვა ქვეყნებს ნარკოვითარების გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: ნარკოვითარება პორტუგალიაში, დეკრიმინალიზაცია პორტუგალიაში, ნარკოტიკების მოხმარება ზოგად პოპულაციაში პორტუგალიაში, ნარკოტიკების მოხმარება ახლაგაზრდებში პორტუგალიაში, აივ/შიდსი ნარკოტიკების მოხმარებლებში პორტუგალიაში, ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიკვდილი პორტუგალიაში.

Abstract

Drug consumption is a major problem in the world. In accordance with the agreement, partners and parties of the EU Member States should cooperate to strengthen effective policies and procedures focused at drug demand and supply reduction.

Drug policy reform in Portugal and following changes is a pivotal point of international epidemiological research, as far as its experience enables other countries to learn from its experience and best practices. The aim of my research was to conduct meta-analysis of the epidemiological research focused at monitoring of changes of the Portuguese drug situation since the reform was introduced.

Based on the conducted meta-analysis, the given study compares current drug situation of Portugal with the pre-reform drug situation. Based on this analysis, the thesis describes dynamics of Portuguese drug situation based on the five key epidemiological indicators.

According to the study results, the following has been changed in Portugal since 2001:

Drug use has significantly reduced in general populations: in 2001, prevalence was 0.9%, while by 2016 it became 0.2%;

Drug use among youth has decreased from 14.1% in 2001 to 10.2% in 2006.

The number of problem drug users (or, high risk users) has significantly reduced from 32,287 persons, in 2000 to 14,500 persons already in 2005.

The number of HIV infected people has decreased from 104,000 new cases per 1,000,000 people to 4,200 people per 1,000,000 in 2015;

Drug related death has decreased from 80 cases recorded in 2001, to 16 cases recorded in 2012, which is the best achievement in Europe: accordance to the rate of cause of death, Portugal has a better result of improvement comparing to Romania.

Key Words: Drug use in Portugal, Decriminalization in Portugal, Drug consumption in Portugal, Problem Drug Use in Portugal, General Population Survey in Portugal, Drug Use among Youth in Portugal, Drug Related Death in Portugal, HIV/AIDS Prevalence among drug users in Portugal.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილის, მოცემული ნაშრომის მომზადების დახმარებაში, გვერდში დგომისთვის, გაწეულ რეკომენდაციებისთვის და ორგანიზაციულ დახმარებაში.

ასევე მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების ვებ გვერდებზე განთავსებული მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომი ინფორმაციისთვის, რომელიც დამეხმარა ჩემი კვლევის ფარგლებში დაგეგმილი ანალიზის ჩატარებაში:

- ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრს;
- ევროპის სასკოლო პროექტს ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკებზე;
- დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს;
- ნარკოტიკებისა და სისხლის სამართლის გაეროს ოფისს;
- აშშ განვითარების სააგენტოს;
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას;
- ნარკოტიკების რეგულირების გლობალურ სისტემას;
- ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ეროვნულ კვლევით ცენტრს;
- დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ევროპულ ცენტრს.